



ტელეკომპანია “მთვარის” მიერ მომზადებული სიუჟეტის გამო სისხლის სამართლის გამოძიების დაწყება, წარმოადგენს უმწვავეს, არათანაბომიერ რეაგირებას და მედიის თავისუფლებაში ჩარევის ძალზედ სახიფათო პრეცედენტს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) მიერ გავრცელებული ინფორმაციით ტელეკომპანია **██████████** A ეთერში გასულ ერთ-ერთ სიუჟეტზე დაწყებულია გამოძიება. განცხადებაში სუს-ი სიუჟეტს დეზინფორმაციულს უწოდებს, ხოლო ქმედებას - საბოტაჟს.

პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ ტელეკომპანია **██████████** A მიერ მომზადებული სიუჟეტის გამო სისხლის სამართლის გამოძიების დაწყება, წარმოადგენს უმწვავეს, არათანაბომიერ რეაგირებას და მედიის თავისუფლებაში ჩარევის ძალზედ სახიფათო პრეცედენტს.

დემოკრატიულ საზოგადოებაში, გამოხატვის თავისუფლების პრინციპებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ჩარევისგან დაცულია ნებისმიერი მედია საშუალება, მიუხედავად იმისა, მიიჩნევა თუ არა ის ინფორმაციის ობიექტურ გამავრცელებლად. მიუხედავად

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



აღნიშნულისა, დღეს, ინტერნეტის, სოციალური მედიისა და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, საზოგადოება განსაკუთრებით მოწყვლადია დეზინფორმაციის წინაშე. სწორედ ამიტომ, აუცილებელია, შესაბამისი საგანმანათლებლო კამპანიების წარმოება, საზოგადოებაში დეზინფორმაციის ამოცნობის მიმართულებით ცნობიერების ამაღლება. ამასთან, უმნიშვნელოვანესია ჟურნალისტთა შიდა რეგულირების მექანიზმების, მაგალითად როგორიც არის ჟურნალისტური ეთიკის ქარტია ეფექტური ფუნქციონირება, დეზინფორმაციის ყველა შესაძლო ფაქტის გარემოებების დეტალური შესწავლა და აღნიშნულის დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი ზომების მიღება შიდა რეგულირების ფარგლებში.

ამავე დროს მივიჩნევთ, რომ დაუშვებელია მედიის მიერ მომზადებული სიუჟეტის გამო სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება იმ შემთხვევაშიც კი, თუ დადასტურდება, რომ სიუჟეტით გაშუქებული ფაქტები ნამდვილად წარმოადგენს სიცრუეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერ ხელისუფლებას მიეცემა გავრცელებული ინფორმაციის სუბიექტური შეფასების საფუძველზე თავისუფალი მედიის კონტროლის მექანიზმი. ხელისუფლებას, ბუნებრივია, გააჩნია საკუთარი სიმართლის დამტკიცებისა და გავრცელების უფრო დიდი რესურსი და მეტი პლატფორმა. შესაბამისად, ხელისუფლების რეგირება მის მიმართ წაყენებულ ბრალდებაზე, თუნდაც ის იყოს უსაფუძვლო, უნდა მოექცეს ზემოთაღნიშნული ზომების ფარგლებში.

იმ პირობებში, როდესაც აშკარაა კონკრეტულად ტელეკომპანია A მიმართ ხელისუფლების უარყოფითი განწყობა (მაგალითად, სახელმწიფო თანამდებობის პირები საჯაროდ უცხადებდნენ ბოიკოტს არხს) და როდესაც საქართველო არაერთხელ მოხვდა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში დეზინფორმაციისა და ყალბი ანგარიშებით ანტიდასავლური პროპაგანდის ფაქტების სიმრავლის გამო, განსაკუთრებით შემაშფოთებელია, სუს-ის მიერ A არხზე გასული სიუჟეტის A შეფასება. აღნიშნული ქმედება, რეპრესიული მექანიზმის შერჩევითად გამოყენების შთაბეჭდილებას ქმნის.

ვფიქრობთ, რომ სატელევიზიო სიუჟეტის გამო საბოტაჟის მუხლით სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას, შეიძლება ჰქონდეს შეუქცევადი მსუსხავი ეფექტი ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი ყველა მედიასამუალებებისთვის და დააზარალოს მოქალაქეთა მიერ ხელისუფლების კონტროლის იდეა.